# გლობალური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა

გლობალური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს პროგრამას. სტუდენტური პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, მოლდოვეთიდან, რუსეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან, უკრაინიდან და უზბეკეთიდან ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ისწავლონ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში ან კოლეჯში. პროგრამა არ ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის მინიჭებას. მონაწილეები შეირჩევიან ღია, თანასწორუფლებიანი კონკურსის საფუძველზე.

პროგრამის ყველა მონაწილე:

- დაესწრება ლექციების კურსს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში;
- პირველი სემესტრის განმავლობაში შეასრულებს მინიმუმ 20 საათის მოცულობის საზოგადოებრივ საქმიანობას მასპინძელ ქალაქში; და
- გაივლის ნახევარ-განაკვეთიან სტაჟირებას მეორე სემესტრის განმავლობაში.

სტუდენტები, რომლებიც ანკეტის ჩაბარების მომენტში არიან პირველ კურსზე, ისწავლიან ორწლიან საზოგადოებრივ კოლეჯებში, ხოლო მეორე, მესამე და მომდევნო კურსის სტუდენტები იცხოვრებენ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებში და განთავსდებიან ოთხწლიან კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.

პროგრამა სრულად არის დაფინანსებული და ითვალისწინებს შემდეგს:

- მხარდაჭერას აშშ J-1 ვიზის მისაღებად;
- მგზავრობას მონაწილის საცხოვრებელი ქალაქიდან მასპინძელ უნივერსიტეტამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში და უკან;
- ბინის ქირას და კვებას აშშ-ში ყოფნის პერიოდში;
- უნივერსიტეტში სწავლების საფასურს და სხვა სავალდებული საუნივერსიტეტო ხარჯებს;
- თანხას წიგნების შესაძენად;
- ყოველთვიურ სტიპენდიას;
- სამედიცინო დაზღვევას; და
- ინგლისური ენის კურსებს (საჭიროების შემთხვევაში).
- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და ტრენინგის შესაძლებლობას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ანკეტა

## სასწავლო დარგები

- ფინანსები
- სოფლის მეურნეობა
- ანთროპოლოგია
- ბიოლოგია
- ბიზნესი
- ქიმია
- კომპიუტერული მეცნიერება
- სისხლის სამართალი
- ეკონომიკა
- განათლება
- ინჟინერია
- გარემოს დაცვის მენეჯმენტი
- გეოლოგია
- სასტუმროს მენეჯმენტი
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ჟურნალისტიკა
- სამართალი
- ფიზიკა
- პოლიტიკური მეცნიერება
- ფსიქოლოგია
- სოციოლოგია
- ურბანული დაგეგმარება
- ამერიკანისტიკა
- სხვა დარგები განიხილება

**ანკეტის ჩაბარების ბოლო ვადაა: 2011 წლის 14 იანვარი, პარასკევი, 17:00**

გლობალური სტუდენტური პროგრამის ანკეტების მიღება და ჩაბარება შესაძლებელია IREX საქართველოს ოფისში:

IREX / საქართველოს ოფისი:
ი. აბაშიძის ქ. № 4, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: **857 53 84 92**
ელ-ფოსტა. ugrad@irex.ge
ანკეტების ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აგრეთვე შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.irex.ge

**ანკეტების ჩაბარება შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მოცემულ პარტნიორ ორგანიზაციებში:**

**ზუგდიდი** – არასამთავრობო ორგანიზაცია "ათინათი", რუსთაველის ქ. №94, II სართ. ტელ: (995 215) 5 00 56;
**ხაშური** – ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკა, IATP ცენტრი, ძნელაძის ქ. №10, ტელ: (995 268) 4 57 60;
**ახალციხე** – საერთაშორისო განათლების ცენტრი, რუსთაველის ქ. №65 ტელ: (995 265) 2 15 51;
**ბათუმი** – საერაშორისო განათლების ცენტრი, გოგილაძის ქ. №91, II სართ. ტელ: (995 222) 7 58 17;
**ქუთაისი** – საერთაშორისო განათლების ცენტრი, წერეთლის ქ. №13 ტელ.: (995 231) 4 11 40;
**თელავი** – საერთაშორისო განათლების ცენტრი, უნივერსიტეტის ქ. №1, V სართ. ტელ: (995 250) 7 31 39;

GLOBAL UGRAD

IREX